

მე-5 კლასი

ძირითადი დავალებები (100 ქულა)

რიცხვთა თეორია

- (8 ქულა) ლუწი ციფრებით ჩაწერილი ორნიშნა რიცხვებიდან რომელია ყველაზე პატარა?
A. 10 B. 20 C. 22
- (8 ქულა) ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან რომელი იყოფა მის ციფრთა ჯამზე?
A. 174 B. 303 C. 230

არიტმეტიკა

- (8 ქულა) ჩამოთვლილი რიცხვებიდან: 3, 5, 6, 7, 10, 13, 26 რამდენი მათგანი უნდა შევკრიბოთ, რომ ჯამი იყოს 40?
A. 3 B. 4 C. 5
- (8 ქულა) რა ელირება ხუთი ფუნთუშა, თუ სამი ფუნთუშა 3 ლარი ღირს?
A. 500 თეთრი B. 300 თეთრი C. 450 თეთრი
- (10 ქულა) ბოთლში 720გ ღვინო ეტევა, ჭიქაში - 200გ. რამდენი ჭიქა გაივსება 3 გავსებული ბოთლი ღვინით?
A. 8 B. 9 C. 10

მედარება

- (10 ქულა) რომელია მეტი: უდიდესი და უმცირესი კენტი ორნიშნა რიცხვების ჯამი, თუ უდიდესი და უმცირესი ლუწი ორნიშნა რიცხვების ჯამი?
A. ლუწების ჯამი B. კენტების ჯამი C. თანაბარია
- (11 ქულა) წიგნის ფასი ჯერ სამჯერ გაძვირდა და შემდეგ სამი ლარით გაიაფდა. თავდაპირველად უფრო ძვირი ღირდა, თუ ახლა უფრო ძვირი ღირს?
A. თავდაპირველად B. ახლა C. ვერ დავადგენთ
- (12 ქულა) რომელია მეტი: 3-ით დაბოლოებული ორნიშნა რიცხვების რაოდენობა, თუ 3-ით დაწყებული ორნიშნა რიცხვების რაოდენობა?
A. 3-ით დაწყებული B. 3-ით დაბოლოებული C. თანაბარია

ლოგიკა

- (12 ქულა) ვანოს გიგაზე 3-ით მეტი ვაშლი აქვს. რამდენი ვაშლი უნდა მისცეს ვანომ გიგას, რომ ახლა გიგას ჰქონდეს ვანოზე 5-ით მეტი ვაშლი?
A. 3 B. 4 C. 5
- (13 ქულა) მწკრივში ამოწერილი იყო რიცხვები 1, 2, 3, ..., 30 (1-დან 30-ის ჩათვლით). მათ ქვეშ მიუწერეს იგივე რიცხვები შებრუნებული თანმიმდევრობით. რა რიცხვი ეწერება 13-ის ქვეშ?
A. 12 B. 15 C. 18

ბონუს დავალებები (20 ქულა)

ბონუს ქულა ჯამურ შედეგს დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ტესტის ძირითად ნაწილში დაკარგავს ქულას.

- კითხვა ფინანსური განათლებიდან: (5 ქულა) სახლის გვერდით მაღაზიაში ფქვილი 3 ლარი ღირს, ქალაქის გარეუბანში კი 2 ლარი და 10 თეთრი. გარეუბნის მაღაზიამდე მისვლა-მოსვლა 1 ლარი და 60 თეთრი სჭირდება. სულ მცირე, რამდენი კილოგრამი ფქვილისთვის ღირს გარეუბანში წასვლა, 2 ლარი მაინც რომ დაგვეზოგოს?
A. 4კგ B. 3კგ C. 9კგ
- „თიბისის“ კითხვა: (5 ქულა) ირინას თიბისი ბანკის ანგარიშზე ერიცხება ხელფასი, ყოველთვიურად 500 ლარი. რამდენი ლარი დაუგროვდება მას ამ ანგარიშზე 2 თვის შემდეგ, თუ მან ამ თანხიდან მხოლოდ 200 ლარი დახარჯა?
A. 800 B. 1000 C. 1200
- Cavea-ს კითხვა: (5 ქულა) კავეას თბილისი მოლის ფილიალში 5 დარბაზია. ჯამში რამდენი ადგილია ამ ფილიალში, თუ საშუალოდ, თითო დარბაზში 156 ადგილია?
A. 730 B. 780 C. 700
- „მაგთის“ კითხვა: (5 ქულა) თორნიკეს მშობლებმა შეიძინეს მაგთის ტელევიზიისა და ინტერნეტის პაკეტი და საჩუქრად მიიღეს უფასო ზარები მაგთის ნომრებზე ოჯახის წევრებს შორის. სულ რამდენ ზარს განახორციელებენ ოჯახის წევრები, თუ სულ სამნი არიან და თითოეული მათგანი ყველა დანარჩენს თითოჯერ დაურეკავს?
A. 6 B. 3 C. 9

*გაეცი მაგთის ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მბ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.

*გაეცი თიბისის ბონუს კითხვას სწორი პასუხი და აიღე მოსწავლის #1 ბარათი, კინგის დიზაინით, უფასოდ, თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.



ტესტი „ინტელექტი“

ინტელექტის ტესტი არ ამოწმებს შენს ცოდნას, არამედ იმას, თუ როგორ აზროვნებ, რამდენად მიხვედრილი და საზრიანი ხარ. ის შენი ინტელექტუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისკენაა მიმართული.

აღმოაჩინე წარმოუდგენლად დიდი შესაძლებლობები - გამოავლინე შენი ინტელექტი! გაიარე შესარჩევი ტური, დააგროვე 4 ქულა ან მეტი და მოიპოვე სეზონის მთავარ ინტელექტუალურ მოვლენაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

22 დეკემბერს შენ ინტელექტის გრანდიოზული ფინალი გელის!

1. მოძებნე ანალოგიური წყვილი: კინოთეატრი:ფილმი
 ა. თეატრი:სპექტაკლი ბ. სკოლა:წიგნი გ. ნახატი:მუზეუმი
2. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ტბა?
 ა. ბაზალეთი ბ. პალიასტომი გ. რიონი
3. ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა მდებარეობს ევროპაში?
 ა. ბრაზილია ბ. შვედეთი გ. იაპონია
4. რომელი ფიგურაა გამოტოვებული?



ა. ბ. გ.

5. ერთ-ერთ სკოლაში ჩაატარეს გამოკითხვა. გამოკითხეს მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 კლასელები. თითოეულმა კლასმა დაასახელა საყვარელი საგანი: ქართული, ისტორია, მათემატიკა ან ხელოვნება. რომელმა კლასმა რომელი ერთი საგანი დაასახელა, თუ ვიცით, რომ:
 - ✓ მე-4, მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეები არ სწავლობენ ისტორიას;
 - ✓ მე-6 კლასის მოსწავლეები ხშირად აწყობენ საკუთარი ნახატების გამოფენებს;
 - ✓ მე-4 კლასის მოსწავლეებმა მათემატიკა დაასახელეს ყველაზე ნაკლებად საყვარელ საგნად.

ა. მე-4 - მათემატიკა; მე-5 - ხელოვნება; მე-6 - ქართული; მე-7 - ისტორია.
 ბ. მე-4 - ქართული; მე-5 - მათემატიკა; მე-6 - ხელოვნება; მე-7 - ისტორია.
 გ. მე-4 - ქართული; მე-5 - ისტორია; მე-6 - ხელოვნება; მე-7 - მათემატიკა.

